CRRC

წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

3-16 ივლისი 2012

მედია მონიტორინგის დროს 3-16 ივლისის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები:

- პირველი არხისა და რეალ ტვ-ს გარდა, დანარჩენ 5 არხზე მთავრობა დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზეა და კოალიცია ქართული ოცნება - მეორეზე.
- პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ყველაზე თანაბარია. ხოლო რეალ ტვ-ზე - ყველაზე არათანაბარი.

- იმ ხუთი არხიდან, სადაც მთავრობა დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილზეა, რუსთავი 2-სა და იმედზე მთავრობას პირდაპირი საუბრის წილი 40 პროცენტზე მეტი აქვს; ხოლო მაესტროზე, კავკასიაზე და მეცხრე არხზე მთავრობას პირდაპირი საუბრის 30 პროცენტზე ნაკლები წილი აქვს.
- იგივე არხებზე მეორე ადგილას მოხვედრილი კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში, რუსთავი 2-სა და იმედზე პირდაპირი საუბრის წილი შედარებით ნაკლებია. ხოლო მაესტროზე, კავკასიაზე და მეცხრე არხზე კოალიციისთვის პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილება თითქმის თანაბარია.
- პირველ არხზე მთავრობის გარდა თითქმის ყველა სუბიექტს პირდაპირი საუბრის წილი 50 პროცენტზე მეტი აქვს.

- სუბიექტების გაშუქების ტონის მიხედვით პირველი არხი, კავკასია და მაესტრო დანარჩენ არხებთან შედარებით უფრო ნეიტრალური გაშუქებით გამოირჩევა.
- გაშუქების ტონის მხრივ ძალიან მსგავსი სურათია რუსთავი 2-სა და იმედზე. მთავრობას, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას და პრეზიდენტს ორივე არხზე დადებითი ტონი 45-61 პროცენტი აქვს. კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში კი უარყოფითი ტონი 53 პროცენტზე მეტია.

- მეცხრე არხზე გამოვლინდა უფრო მეტი უარყოფითი ტონის წილი, ვიდრე დადებითის. ხელისუფლების წარმომადგენლები დროის 30-51 პროცენტის შემთხვევაში უარყოფითად გაშუქდა.
- რეალ ტვ-ზე დაფიქსირდა უარყოფითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 65 პროცენტი კოალიცია ქართული ოცნების მიმართ. მთავრობისა და პრეზიდენტის შემთხვევაში დადებითი გაშუქების წილი 40 პროცენტზე მეტია.

- პირველ არხზე სამი სუბიექტის გარდა ჟურნალისტის მხრიდან სუბიექტებზე საუბრის ტონი 100 პროცენტით ნეიტრალურია.
- რუსთავი 2-ზე, იმედზე, მეცხრე არხზე და რეალ ტვ-ზე ჟურნალისტის ტონის განაწილება ზოგადი ტონის განაწილების მსგავსია.
- კავკასიასა და მაესტროზე ჟურნალისტის ტონი ძირითადად ნეიტრალურია. ორივე არხზე მთავრობას დაუფიქსირდა 18-18 უარყოფითი ტონის წილი.
- რეალ ტვ-ზე ჟურნალისტის ტონის უარყოფითი წილი კოალიცია ქართული ოცნების მიმართ უფრო მეტია (69%), ვიდრე საერთო უარყოფითი ტონის წილი (65%).

მეთოდოლოგია და ანალიზი

ტელევიზიების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ

პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც რამდენიმე წამი/წუთი მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ზოგჯერ დროის 0 პროცენტით). თითოეულ არხზე კატეგორია სხვაში გაერთიანებულია ის სუბიექტები (პოლიტიკური პარტიების გარდა), რომლებსაც ამ არხზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ (სთ:წთ:წმ ფორმატში). ის სუბიექტები, რომლებსაც არხზე ერთ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად და ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ სუბიექტზე საუბრის დრო. სუბიექტები, რომლებსაც თითოეულ შემთხვევაში დაეთმო 1 წუთზე ნაკლები, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ

რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ხდება დაკვირვება, რამდენად ეხება სიუჟეტი რაიმე კონკრეტულ ფაქტს და არის თუ არა სიუჟეტში მოყვანილი ამ ფაქტის დამადასტურებელი კადრები/კომენტარები.

მონიტორინგი ყურადრებას აქცევს საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს. ითვლება, რომ მოახდინეს კადრებითა და მუსიკით მანიპულირება მაშინ, როცა სიუჟეტში გამოყენებული კადრები, ფოტოები ისეა წარმოდგენილი და თან დაჰყვება ისეთი მუსიკა, რომელიც გარკვეულ განწყობას ქმნის და იწვევს მკვეთრად დადებით ან უარყოფით ასოციაციებს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 3-16 ივლისის პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით.

პირველი არხი

პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო საკმაოდ თანაბრად გადანაწილდა. სიუჟეტები უმეტესად ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ტოვებს წარმოდგენილი სუბიექტების მიმართ. ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურებიც. სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყოველთვის დაბალანსებულია. რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები ყოველთვის მოცემულია.

მონიტორინგის პერიოდში (3-16 ივლისი) პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო საკმაოდ თანაბრად გადანაწილდა და პროცენტულ მაჩვენებლებს შორის დიდი განსხვავებები არ არის. აღსანიშნავია, რომ დროის მიხედვით პირველ ადგილას მყოფ

კოალიცია ქართულ ოცნებას დაეთმო 17 პროცენტი მაშინ, როცა ყველა სხვა არხზე დათმობილი დროის ყველაზე დიდი წილი 28 პროცენტზე ნაკლები არ არის. პირველ სამეულში კოალიციასთან ერთად მოხვდნენ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (17%) და მთავრობა (11%). (იხ. დიაგრამა Time 1)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ პირველ არხზე დათმობილი დროის მიხედვით პირველ ექვს სუბიექტს თუ შევხედავთ, პირდაპირი საუბრის წილი ჭარბობს - ყველგან 60 პროცენტზე მეტია მთავრობის გარდა, რომელსაც დათმობილი დროის 22 პროცენტის შემთხვევაში მიეცა პირდაპირი საუბრის საშუალება. (იხ. დიაგრამა Speech 1)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად არიან გაშუქებული. ყველაზე მეტი დადებითი ტონი აქვს პრეზიდენტს და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას - 48% და 19%. მთავრობას დაუფიქსირდა დადებითი გაშუქების 13 პროცენტი და კოალიცია ქართულ ოცნებას 6 პროცენტი. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი აქვს მთავრობას (23%) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (15%). კოალიცია ქართული ოცნების გაშუქების 4 პროცენტის შემთხვევაში ტონი უარყოფითი იყო. (იხ. დიაგრამა Tone 1).

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, აღსანიშნავია, რომ სამი სუბიექტის გარდა ჟურნალისტის მხრიდან სუბიექტებზე საუბრის ტონი 100 პროცენტით ნეიტრალურია. ეს სამი სუბიექტია: კოალიცია ქართული ოცნება, მთავრობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ამ შემთხვევებშიც ნეიტრალური ტონის წილი არ არის 96 პროცენტზე ნაკლები. (იხ. დიაგრამა Tone J1)

მონიტორინგი სიუჟეტებს აკვირდება მთლიანობაშიც და აღრიცხავს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებას რომელიმე სუბიექტის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პირველ არხზე სიუჟეტები უმეტესად ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ტოვებს სიუჟეტში წარმოდგენილი სუბიექტების მიმართ. თუმცა, არის შემთხვევები, როცა მთლიანობაში სიუჟეტის ზოგადი შთაბეჭდილება უფრო დადებითისკენ იხრება ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ ან უფრო უარყოფითისკენ იგივე ხელისუფლების ან კოალიცია ქართული ოცნების მიმართ. აღსანიშნავია, რომ დადებითი ზოგადი შთაბეჭდილება ძირითადად გამოწვეულია

სუბიექტების პირაპირი საუბრით და ნაჩვენები კადრებით (მაგ.: 16 ივლისის სიუჟეტი „სადაზღვევო ბარათები“, სადაც ნაჩვენებია, როგორ გულთბილად ართმევს ხელს სააკაშვილი პენსიონერს და როგორ უხდის პენსიონერი მას მადლობას), უარყოფითისკენ გადახრილი შთაბეჭდილება კი - რესპონდენტების კომენტარებით (მაგ.: 12 ივლისის სიუჟეტი „ლეიბორისტული პარტიის ბრიფინგი“, სადაც პაატა ჯიბლაძე უარყოფითად საუბრობს როგორც ივანიშვილზე, ასევე ხელისუფლებაზე და უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის მათზე). ჟურნალისტების ტექსტები უმეტესად ნეიტრალურია.

ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები.

სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყოველთვის დაბალანსებულია და წარმოდგენილია სხვადასხვა მოსაზრება გაშუქებული საკითხის გარშემო.

რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით (რესპონდენტის კომენტარი, კადრები, გაჟღერებული ინფორმაციის წყაროს მითითება) გამყარებას, პირველ არხზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები ყოველთვის მოცემულია.

მონიტორინგის 3-16 ივლისის პერიოდში პირველ არხზე ერთი შეცდომა დაფიქსირდა. 9 ივლისის სიუჟეტში „ეუთოს რეზოლუცია“ ჟურნალისტი ამბობს, რომ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეას ახალი თავმჯდომარე ჰყავს - რიკარდო მილიორი. ამ დროს აჩვენებენ კიდეც ასამბლეის დარბაზს და როგორ უკრავენ ტაშს ახალარჩეულ თავმჯდომარეს. ამას მოჰყვება თავმჯდომარის კომენტარი, რომელსაც ეწერება სხვა სახელი და მიკუთვნება (მატეა მეკაჩი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი). თუმცა, სიუჟეტიდან გამომდინარე, ეს კაცი თავად თავმჯდომარეა.

რუსთავი 2

დათმობილი დროის მიხედვით პირველ ოთხეულში მოხვდნენ მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება, პრეზიდენტი და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა. რუსთავი 2-ზე 3 ძირითადი ტენდენცია გამოიკვეთა: 1) სიუჟეტები, რომლებიც ინფორმაციული და ნეიტრალურია, შედარებით მოკლეა. 2) ხშირად გვხვდება სიუჟეტები, რომელთა საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იხრება უმეტესად პრეზიდენტის, მთავრობისა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ. 3) ასევე ხშირია სიუჟეტები, სადაც კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლები უარყოფით კონტექსტში არიან წარმოჩენილი. სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციულია და ნეიტრალური. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

რუსთავი 3-16 ივლისამდე პერიოდში დათმობილი დროის მიხედვით პირველ ოთხეულში მოხვდნენ მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება, პრეზიდენტი და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა. მთავრობას დაეთმო ამ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დროის 28 პროცენტი, კოალიციას - 18 პროცენტი, პრეზიდენტსა და ქრისტიან-დემოკრატებს 15 და 14 პროცენტი. ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 6 პროცენტი ან ამაზე ნაკლები დაეთმო (იხ. დიაგრამა Time 2).

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ საინტერესოა, რომ მთავრობის შემთხვევაში, რომელსაც ყველაზე მეტი დრო (1 სთ 25 წთ) დაეთმო, პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი თითქმის თანაბრადაა განაწილებული (46% პირდაპირი, 54% ირიბი). კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელსაც დაახლოებით 56 წუთი დაეთმო, პირდაპირი საუბრის მხოლოდ 39 პროცენტი დაუფიქსირდა. რაც შეეხება დანარჩენ სუბიექტებს, რომლებიც 10 წუთზე მეტი დროის განმავლობაში გაშუქდა, პირდაპირი საუბრის წილი ყველგან 60 პროცენტს აღემატება. (იხ. დიაგრამა Speech 2)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, სურათი საკმაოდ მრავალფეროვანია. გვხვდება დადებითი და უარყოფითი ტონის საკმაოდ დიდი წილი.

აღსანიშნავია, რომ მთავრობისთვის დათმობილი დროიდან (დაახლოებით საათ-ნახევარი) 52 პროცენტი დადებითი ტონისაა და მხოლოდ 5 პროცენტია უარყოფითი. დადებითი ტონი ჭარბობს პრეზიდენტის გაშუქებისას (61%). ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასაც დადებითი ტონის საკმაოდ დიდი მაჩვენებელი აქვს - 45 პროცენტი. რაც შეეხება კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელიც დათმობილი დროის მიხედვით მეორე ადგილას დგას (დაახლოებით 1 სთ), იგი 58 პროცენტის შემთხვევაში უარყოფითი ტონით გაშუქდა. (იხ. დიაგრამა Tone 2)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, დაახლოებით იგივე სურათია. მთავრობას, პრეზიდენტს და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას ყველაზე მეტი დადებითი ტონი აქვთ (მთავრობა და ქრისტიან-დემოკრატები 30%, პრეზიდენტი 41%), ქართულ ოცნებას კი - 63 პროცენტი უარყოფითი ტონი. (იხ. დიაგრამა Tone J2). მაგალითად, 6 ივლისის სიუჟეტში ევროპარლამენტში ქართული ოცნების შესახებ გაკეთებულ კრიტიკულ განცხადებებზე ჟურნალისტი ამბობს: „თინა ხიდაშელმა მედიას ამჯერად ინგლისურის ცოდნა დაუწუნა. თუმცა, ამავე პრინციპით შესაძლოა, მედიასაც ჰქონდეს პრეტენზია რესპუბლიკელების ლიდერის მათემატიკასთან". 16 ივლისის სიუჟეტში „ურთიერთსაპირისპირო განცხადებები" ჟურნალისტი ამბობს: „ტრიბუნიდან ჩამოსვლის შემდეგ სუფლიორის და საგანგებოდ დაწერილი ტექსტის გარეშე დარჩენილი ბიძინა ივანიშვილი ისევ ძველ ვერსიას და თავის ნამდვილ შეხედულებას დაუბრუნდა".

ზოგად შთაბეჭდილებას რაც შეეხება, 3-16 ივლისის პერიოდში რუსთავი 2-ის სიუჟეტებში გამოიკვეთა სამი ძირითადი ტენდენცია:

1. სიუჟეტები, რომლებიც ინფორმაციული და ნეიტრალურია, შედარებით მოკლეა.

2. ხშირად გვხვდება სიუჟეტები, რომელთა საერთო შთაბეჭდილება დადებითისკენ იხრება უმეტესად პრეზიდენტისა და მთავრობის, ზოგჯერ კი ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ. მაგალითად, 12 ივლისის სიუჟეტი „სარეაბილიტაციო სამუშაოები ქობულეთში", სადაც პრეზიდენტი ესაუბრება უცხოელ ტურისტს და ბავშვები სკანდირებენ პრეზიდენტის სახელს. იგი ჩერდება ბავშვებთან, ხელს ართმევს და ეხუტება მათ.

პრეზიდენტს სანაპიროდან ხელს უქნევენ დამსვენებლები. გარდა ამისა, ჟურნალისტი დადებითად აღწერს რეაბილიტაციის პროცესს, რაც ზოგად დადებით ფონს ქმნის.[1]

6 ივლისის სიუჟეტში „პრემიერმინისტრი თერჯოლაში“ ვანო მერაბიშვილი დადებით კონტექსტშია ნაჩვენები - როგორ ესაუბრება გლეხებს ადგილობრივ პრობლემებზე, როგორ პირდება მათ ხიდის შეკეთებას და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მომენტი, როდესაც მერაბიშვილი და ერთ-ერთი გლეხი ხუმრობენ და იქმნება პოზიტიური შთაბეჭდილება პრემიერზე.[2]

5-16 ივლისის პერიოდში რუსთავი 2-ზე ყოველდღე შუქდებოდა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის აქტივობები, ძირითადად დადებით კონტექსტში. ამის მაგალითებია: მაგდა ანიკაშვილისა და ზაზა გაბუნიას ვიზიტი სოციალურად დაუცველ ოჯახებში (6 ივლისი), გიორგი თარგამაძის ვიზიტი კახეთში და ატმის კრეფა (9 ივლისი), თარგამაძის მიერ თელიანში მეფუტკრეების დახმარება (11 ივლისი), მაგდა ანიკაშვილის მიერ ზესტაფონში ძროხის წველა და ხაჭაპურის ცხობა, გიორგი თარგამაძის მიერ ყველის ამოყვანა (12 ივლისი), გიორგი თარგამაძის მიერ ავტობუსის მართვა (13 ივლისი). ყველა ამ სიუჟეტში ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ძალიან დადებითად იყო წარმოჩენილი.

3. ასევე ხშირია სიუჟეტები, სადაც კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლები უარყოფით კონტექსტში არიან წარმოჩენილი - ან რესპონდენტები საუბრობენ მათზე უარყოფითად, ან ნაჩვენებია უარყოფითი კადრები. მაგალითად: 12 ივლისის სიუჟეტში „დაპირისპირება კარალეთში“ აჩვენებენ, თუ როგორ ჩხუბობს და იგინება კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი კახი კალაძე. სიუჟეტში კოალიციაზე უარყოფითად საუბრობს ყველა მოქალაქე. ერთი აგინებს კიდეც მათ. ჟურნალისტის ტონიც ხშირად უარყოფითია და დაპირისპირებაში პირადად კალაძეს და მის მხლებლებს, ასევე კოალიციის წევრებს ადანაშაულებს. ხშირად არის ჩხუბის კადრები, რაც უარყოფით ფონს ქმნის კოალიციის მიმართ მთელი სიუჟეტის მანძილზე.

ბიძინა ივანიშვილის უარყოფითად წარმოჩენის კიდევ ერთი მაგალითია 16 ივლისის სიუჟეტი ივანიშვილის ინიციატივაზე ერგნეთის ბაზრობის აღდგენის შესახებ. სიუჟეტში

[1] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=TBYBv5ehIyU&feature=youtu.be
[2] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=36yUwPF_mDY&feature=youtu.be

წარმოდგენილია ერგნეთის ბაზრობის ძველი კადრები და წარმოდგენილია რესპონდენტები, რომლებიც საუბრობენ იმაზე, რომ ერგნეთის ბაზრობა ნარკოტიკებისა, კონტრაბანდისა და კორუფციის პუნქტი იყო. ჟურნალისტიც სიუჟეტის დასაწყისში და სიუჟეტის განმავლობაში ხაზს უსვამს ერგნეთის ბაზრობის უარყოფით მხარეებს. საერთო ჯამში, სიუჟეტიდან გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა მიმართულია იქითკენ, რომ აღადგინოს კორუფცია, კონტრაბანდა და ნარკოტიკების გასაღების ბაზარი, და უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ბიძინა ივანიშვილზე. ამავე სიუჟეტში ჟურნალისტი მკვეთრად უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის ივანიშვილის მიერ წარდგენილ კანდიდატზე, თამაზ თამაზაშვილის შვილზე, და ხაზს უსვამს კახეთის პოლიციის ყოფილი უფროსის, თამაზაშვილის, კავშირს კორუფციასთან და აღნიშნავს, რომ ის ამჟამად ციხეში იმყოფება და მეორეჯერ იხდის სასჯელს. ამით ივანიშვილის მიმართ ქმნის კიდევ უფრო უარყოფით ფონს.[3]

რუსთავი 2-ზე სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციულია და ნეიტრალური. განსაკუთრებით დადებითი ან უარყოფითი ტონის სათაურები 3-16 ივლისის პერიოდში არ გამოვლენილა.

რუსთავი 2-ზე სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია. სულ რამდენიმე სიუჟეტში იგრძნობოდა კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლის კომენტარის საჭიროება.

იმედი

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში დათმობილი დროის მიხედვით იმედისა და რუსთავი 2-ის მონაცემები საკმაოდ მსგავსია. პირველი ოთხეულშიც იგივე სუბიექტები მოხვდნენ. ხშირად სიუჟეტები დადებით შთაბეჭდილებას ქმნის ხელისუფლების წარმომადგენლებისა

[3] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=yI3137_nukA&feature=youtu.be

და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ. ასევე ხშირია სიუჟეტები, სადაც ზოგადი შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება კოალიცია ქართული ოცნების მიმართ. გამოიკვეთა სიუჟეტების მკვეთრად უარყოფითი შინაარსის მქონე სათაურები. სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. ზოგ სიუჟეტში იგრძნობოდა კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლის კომენტარის საჭიროება. რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ ფაქტებს შორის, რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში დათმობილი დროის მიხედვით იმედისა და რუსთავი 2-ის მონაცემები საკმაოდ მსგავსია. ისევე, როგორც რუსთავი 2-ზე, იმედზეც ყველაზე მეტი დრო დაეთმო მთავრობას - აქაც 28 პროცენტი. პირველი ოთხეულშიც იგივე სუბიექტები მოხვდნენ, იგივე თანმიმდევრობით: მთავრობა (28%), კოალიცია ქართული ოცნება (20%), პრეზიდენტი (19%), ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (12%). დანარჩენ სუბიექტებს დროის 5 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 3)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ მთავრობის შემთხვევაში, რომელსაც ყველაზე მეტი დრო (1 სთ 31 წთ) დაეთმო, პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი მეტ-ნაკლებად თანაბრადაა განაწილებული (43% პირდაპირი, 57% ირიბი). პრეზიდენტს და კოალიცია ქართულ ოცნებას თითქმის თანაბარი დრო დაეთმო (პრეზიდენტს 1 სთ 1 წთ, კოალიციას 1 სთ 4 წთ). თუმცა, პირდაპირი საუბრის წილი პრეზიდენტს 73 პროცენტი აქვს მაშინ, როცა კოალიცია ქართულ ოცნებას - მხოლოდ 34 პროცენტი. რაც შეეხება დანარჩენ სუბიექტებს, რომლებიც 10 წუთზე მეტი დროის განმავლობაში გაშუქდა, პირდაპირი საუბრის წილი ყველგან 50 პროცენტს აღემატება. (იხ. დიაგრამა Speech 3)

რაც შეეხება ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილებას, ზოგ სუბიექტებთან მიმართებაში გამოვლინდა დადებითი და უარყოფითი ტონის საკმაოდ დიდი წილი. მთავრობისთვის დათმობილი დროიდან (1 სთ 44 წთ) 45 პროცენტი დადებითი ტონით გაშუქდა და მხოლოდ 3 პროცენტია უარყოფითი ტონი. დადებითი ტონი ჭარბობს პრეზიდენტის გაშუქებისას (58%). ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასაც დადებითი ტონის

საკმაოდ დიდი მაჩვენებელი აქვს - 44 პროცენტი. რაც შეეხება კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელიც დათმობილი დროის მიხედვით მეორე ადგილას დგას (1 სთ 10 წთ), იგი 53 პროცენტის შემთხვევაში უარყოფითი ტონით გაშუქდა. (იხ. დიაგრამა Tone 3)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, საერთო ტონის ტენდენცია მეორდება. პრეზიდენტს, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას და მთავრობას დადებითი ტონის ყველაზე მეტი წილი აქვთ (38%, 23%, 31%), ქართულ ოცნებას კი - ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი - 52 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J3).

სიუჟეტებზე ზოგად შთაბეჭდილებას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ ხშირად სიუჟეტები დადებით შთაბეჭდილებას ქმნის ხელისუფლების წარმომადგენლების - ძირითადად მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილისა და დავით ბაქრაძის მიმართ. ასევე საკმაოდ ხშირია ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის შესახებ დადებითი შინაარსის მქონე სიუჟეტები. იმედზე ხშირია სიუჟეტები, სადაც ზოგადი შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება კოალიცია ქართული ოცნების მიმართ.

მაგალითად, 11 ივლისის სიუჟეტში „დაზღვევის ახალი პოლისი“ აჩვენებენ, თუ როგორ მიდიან ზურაბ ჭიაბერაშვილი და ვანო მერაბიშვილი იმერლიშვილების ოჯახში. ჭიაბერაშვილი გადაეხვევა ოჯახის ერთ-ერთ წევრს, მერაბიშვილი ბავშვს ართმევს ხელს. შემდეგ ისინი გადასცემენ ოჯახის წევრებს დაზღვევის პოოლისებს. სიუჟეტში მთავრობის ორივე წარმომადგენელი დადებითადაა წარმოჩენილი.

12 ივლისის სიუჟეტი პრეზიდენტის ვიზიტზე ქობულეთში სააკაშვილის მიმართ იყო ძალიან დადებითი. სიუჟეტში ნაჩვენებია, როგორ მოინახულა სააკაშვილმა ყველა ახალი პროექტი, რაც მიმდინარეობს ქობულეთში, როგორ დაინტერესდა ყველა დეტალით, განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით. ნაჩვენებია, როგორ ესალმება იგი ხალხს. ხალხიც ასევე ძალიან დადებითად ხვდება. ასევე ნაჩვენებია, როგორ იქნევს პლაჟიდან ხალხი ხელს. ნაჩვენებია, როგორ მოდის ადგილობრივი მცხოვრები და ხელს ართმევს პრეზიდენტს

და ამბობს „მიშა მაგარია“. სიუჟეტის ბოლოს ასევე ნაჩვენებია, როგორ ხვდება სააკაშვილი მოსახლეობას. ბავშვები ყვირიან „მიშა, მიშა“ და სააკაშვილი ეფერება ბავშვებს. სიუჟეტის დადებით ფონს კიდევ უფრო ამყარებს ჟურნალისტის შესავალი ტექსტი, როცა ის ამბობს: „ქობულეთში რუსთაველის ქუჩას მიხეილ სააკაშვილი მოულოდნელად ესტუმრა, რამაც ადგილობრივებში განსაკუთრებული ემოციები გამოიწვია“.[4]

მაგალითად: 10 ივლისის სიუჟეტში „ქდმ გორის რაიონში“ ნაჩვენებია, თუ როგორ ესაუბრება მაგდა ანიკაშვილი მოსახლეობას, მიდის მათ სახლებში, იცვამს ექიმის თეთრ ხალათს და ესაუბრება პაციენტებს, ერთ-ერთ მათგანს გაუსინჯა წნევა. მოსახლეობა შემოკრებილია მის გარშემო და უსმენს. ასევე, 12 ივლისის სიუჟეტში გიორგი თარგამაძის ვიზიტზე ზესტაფონში ნაჩვენებია კადრები, სადაც ქდმ-ს წევრები საოჯახი საქმეებში არიან ჩართულები, მიდიან ბაზარში და ინტერესდებიან ფასებით. ხვდებიან მოსახლეობას მატარებელში. კადრში ნაჩვენებია როგორ აქვს თარგამაძეს ხელი გადახვეული ბავშვზე და ისე საუბრობს ხალხის პრობლემებზე.

მაგალითად, 12 ივლისის სიუჟეტი „6 მილიონი ჯავახიშვილისთვის: რისთვის გადარიცხეს ივანიშვილმა და ხვედელიძემ მილიონები?“ უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ივანიშვილისა და ზოგადად კოალიციის მიმართ, რადგან ხაზგასმულია, რომ ივანიშვილი და ქართული ოცნება არაერთხელ გაეხვა ფინანსურ სკანდალში.

იგივე 12 ივლისის გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „ოცნების მაჟორიტარები: სპორტსმენები, თოვლის ბაბუა და თბილისი“. სიუჟეტიდან რჩებოდა უარყოფითი შთაბეჭდილება ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ. სიუჟეტში ხაზგსმულია, რომ დასახელებული მაჟორიტარობის კანდიდატები ძირითადად პოლიტიკაში ნაკლებად ერკვევიან. ნათქვამია, რომ კანდიდატები ძირითადად არიან სპორტსმენები, ასევე ერთ-ერთი თოვლის ბაბუას როლის შემსრულებელი. სიუჯეტში ხაზგასმულია, რომ

[4] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=c4bo1oROtMU&feature=youtu.be

მედიისთვის ცნობილია, რომ ივანიშვილს თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატები უნდა დაესახელებინა. თუმცა, მან სხვა რეგიონის კანდიდატები დაასახელა. ასევე ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ეს ბრიფინგი ტექნიკური ხარვეზებით მიდიოდა, კერძოდ, გაფუჭებული იყო მიკროფონი.

13 ივლისის სიუჟეტში „კალაძე და იარაღი: რა მოხდა კარალეთში?“ ნაჩვენებია კალაძისა და კარალეთის მოსახლეობას შორის მომხდარი ინციდენტი. ჟურნალისტი ამბობს: „ისედაც დაძაბული სიტუაცია კიდევ უფრო სწორედ ყოფილმა ფეხბურთელმა გაართულა, როდესაც, 12-კაციანი დაცვით გარშემორტყმულმა, ადგილობრივების გინება გადაწყვიტა”. ამის შემდეგ ნაჩვენებია კადრი, სადაც კალაძე აგინებს ადგილობრივ მცხოვრებს. გინების მომენტი ორჯერ ზედიზედ არის ნაჩვენები.

3-16 ივლისის პერიოდში იმედზე გასულ სიუჟეტებს ხშირად არ ჰქონდა უბრალოდ ნეიტრალური და ინფორმაციული სათაურები. იყო შემთხვევები, როცა მკვეთრად უარყოფითი შინაარსის სათაურები დაფიქსირდა, რაც თავისთავად უარყოფით კონტექსტს ქმნიდა მთელი სიუჟეტის განმავლობაში. მაგალითად, 6 ივლისი - სიუჟეტი „უკან სსსრ-ში: საბჭოთა ოცნება“; 10 ივლისი - „კალაძის აგვისტო“ – „ქართული ოცნების“ რუსული პოზიცია?; 12 ივლისი - „ოცნების მაჟორიტარები - სპორტსმენები, თოვლის ბაბუა და თბილისი“; 16 ივლისი - „ოცნების“ ერგნეთი: „შავი ხვრელი“ - ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირება.

აღსანიშნავია 11 ივლისის სიუჟეტი სათაურით „ბერძენიშვილი ივანიშვილის წინააღმდეგ: სენსაციური განცხადება“, რომელიც აგებულია ტელეარხ მაესტროზე თოქშოუ „პოლიტმეტრში“ ლევან ბერძენიშვილის მიერ ვანო მერაბიშვილის პრემიერმინისტრად დანიშვნაზე გაკეთებულ შეფასებებზე. თოქშოუს განმავლობაში საუბრის დროს ლევან ბერძენიშვილს რამდენიმეჯერ ეშლება და მერაბიშვილის მაგივრად ივანიშვილს ამბობს. იმედზე სიუჟეტის დასაწყისში წამყვანი სწორად აღნიშნავს, რომ ბერძენიშვილი

პრემიერმინისტრზე საუბრობს კრიტიკულად. თუმცა, სათაური მაინც ბერძენიშვილი-ივანიშვილის დაპირისპირებაზე მიუთითებს.[5]

სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით ზოგჯერ დაბალანსებულია და ზოგჯერ - არა. ზოგ სიუჟეტში იგრძნობოდა კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლის კომენტარის საჭიროება.

რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ ფაქტებს შორის, რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა. მაგალითად, 14 ივლისის სიუჟეტი „ივანიშვილის „აგვისტო“ და ერგნეთი: „ოცნების“ ლიდერის ცვალებადი განცხადებები“. სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ ივანიშვილმა კარალეთის მოსახლეობას ზონდერ ჯგუფები და უბადრუკები უწოდა. თუმცა, ამის შემდეგ ივანიშვილი საუბრისას არ ახსენებს, რომ ის კარალეთელებს უწოდებს ზონდერ ჯგუფებს. მის ინტერვიუს არ აჩვენებენ ბოლომდე, თითქოს შუაზე წყვეტენ. ის ამბობს: „ყველგან ხვდებოდათ წინააღმდეგობები, უბადრუკი, რა თქმა უნდა, მსგავსად ამისა კარალეთში რომ ქვები დაუშინეს, იგინებიან რამდენიმე ზონდერ...“ აქ გაწყდა ინტერვიუ, ამიტომ ვის უწოდა ზონდერ ჯგუფები, თუ საერთოდ რას ნიშნავდა ეს ზონდერ, გაურკვეველია.

მაესტრო

დათმობილი დროის მიხედვით პირველ და მეორე ადგილას მთავრობა და კოალიცია ქართული ოცნებაა. ზოგადი შთაბეჭდილებით სიუჟეტები ხელისუფლების წარმომადგენლების შესახებ ძირითადად ნეგატიურ ჭრილშია წარმოდგენილი. სიუჟეტებს უმეტესად ინფორმაციული და ზოგჯერ კრიტიკული სათაურები ჰქონდა. სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ ძირითად შემთხვევებში დაბალანსებულია. გამოვლინდა რამოდენიმე შემთხვევა, როცა ჟურნალისტის ნათქვამი არ შეესაბამება სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარს.

[5] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=k_THq5lPjo8&feature=youtu.be

მაესტროზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო მთავრობას - 30 პროცენტი. მეორე ადგილას დათმობილი დროის მიხედვით კოალიცია ქართული ოცნება (21%) მოხვდა. მესამე და მეოთხე ადგილას კი 11-11 პროცენტით - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი. ყველა დანარჩენ სუბიექტებს დროის 6 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო (იხ. დიაგრამა Time 4).

მაესტროზე პირდაპირ და ირიბ საუბარზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ იმ ოთხ სუბიექტთაგან, რომელთაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, მთავრობას (1 სთ 10 წთ) პირდაპირი საუბრის ყველაზე მცირე წილი აქვს - 22 პროცენტი. კოალიცია ქართულ ოცნებას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს პირდაპირი და არაპირდაპირი საუბარი ერთნაირი პროპორციით გადაუნაწილდათ. (იხ. დიაგრამა Speech 4)

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, გაშუქების ნეიტრალური ტონი ჭარბობს. აღსანიშნავია, რომ დათმობილი დროის მიხედვით სუბიექტთა პირველი ოთხეულის მიმართ გამოვლინდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ტონი. თუმცა, მათ შორის ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი (26%) აქვს მთავრობას, ხოლო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს უარყოფითი ტონის 19 და 18 პროცენტი აქვთ. კოალიცია ქართულ ოცნებას ოცნებას მხოლოდ 4 პროცენტი აქვს უარყოფითი ტონის წილი. აქვე აღსანიშნავია ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელსაც 10 წუთი დაეთმო და აქედან 56 პროცენტი უარყოფითი ტონითაა გაშუქებული. რაც შეეხება დადებით ტონებს, პირველი ოთხეულის სუბიექტების დადებითი ტონით გაშუქება მერყეობს 6-დან 13 პროცენტამდე. (იხ. დიაგრამა Tone 4)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, სურათი იმეორებს საერთო დროის ტენდენციას. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონის წილი გამოვლინდა რამდენიმე სუბიექტის მიმართ: მთავრობა (18%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (17%), პრეზიდენტი (16%), ადგილობრივი თვითმმართველობა (47%). (იხ. დიაგრამა Tone J4)

სიუჟეტებზე დაკვირვებისას ზოგადი შთაბეჭდილებით სიუჟეტები სამთავრობო სტრუქტურების, პრეზიდენტის, პრემიერმინისტრის, თბილისის მერისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ძირითადად ნეგატიურ ჭრილშია წარმოდგენილი. ამის მიზეზი ძირითადად სიუჟეტებში წარმოდგენილი რესპონდენტებია. მაგალითად, 11 ივლისის სიუჟეტში „აქცია ლაგოდეხის გამგეობასთან“ უარყოფით შთაბეჭდილებას ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ ქმნის რამოდენიმე ადგილობრივი მცხოვრებლის კომენტარი, რომლებიც უკმაყოფილებას გამოხატავენ მათ ქმედებებზე. ასევე, 16 ივლისი სიუჟეტში „ქცევის წესები პარტიებისთვის“ შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ზოგადად ხელისუფლების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტის ტექსტი ძირითადად ნეიტრალურია, სიუჟეტში ნაჩვენები რესპონდენტების უარყოფითი შინაარსის კომენტარები სიუჟეტის ზოგად შთაბეჭდილებას ცვლის უარყოფითისკენ.

აღსანიშნავია 13 ივლისის სიუჟეტი „მორიგი ყადაღა - "ქართული ოცნების" გაზეთების დაბეჭდვისთვის "ელიტა ბურჯის“ საბანკო ანგარიშები დააყადაღეს“, სადაც ზოგად შთაბეჭდილებას ჟურნალისტის ტექსტიც განაპირობებს. სიუჟეტში ზოგადი შთაბეჭდილება კონტროლის პალატის მიმართ იხრება ნეგატიურისკენ. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ელიტა ბურჯს განუხორციელებია არაერთი სამთავრობო პროექტიც და ეს შემთხვევები კონტროლის პალატის „გონივრულ ეჭვს“ არ იწვევს. ეჭვი მხოლოდ ქართული ოცნების მაისურების დამზადების შემდეგ გაჩნდა.

საინტერესოა იმავე გამოშვებაში გასული სიუჟეტი კარალეთში მომხდარი ინციდენტის შესახებ. სიუჟეტში აღწერილია კარალეთის ინციდენტის კადრების ორი ვარიანტი - წარმოდგენილი სააგენტო ITV-სა და ინფო 9-ს მიერ. მაესტროს სიუჟეტში ნაჩვენებია ინფო 9-ს კადრები, სადაც ჩანს, თუ რა უძღოდა წინ კალაძის გინებას. მოქალაქე კალაძეს ესაუბრება მის ძმაზე და ეუბნება, რომ მან ძმა ფულის გამო დაკარგა, რაზეც კალაძე მოთმინებას კარგავს. რუსთავი 2-ზე და იმედზე გასულ სიუჟეტებში ნაჩვენებია მხოლოდ კალაძის გინების კადრები. მაესტრო კი შეეცადა უფრო სრული სურათის წარმოდგენას.[6]

[6] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=wNXesz_STb8&feature=youtu.be

მაესტროზე სიუჟეტებს უმეტესად ინფორმაციული და ზოგჯერ კრიტიკული სათაურები ჰქონდა.

მაესტროზე სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ ძირითად შემთხვევებში დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტები ძირითადად ისეთ საკითხებს ეხება, სადაც აშკარაა კონტროლის პალატის ან ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარის საჭიროება. მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია.

მაესტროზე ასევე გამოვლინდა რამოდენიმე შემთხვევა, როცა ჟურნალისტის ნათქვამი არ შეესაბამება სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარს. ამის მაგალითია 3 ივლისს გასული სიუჟეტი „თავდაცვიდან შსს-ს მინისტრობამდე: თავდაცვის ყოფილი მინისტრი შსს-ს უხელმძღვანელებს." სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ ნიკოლაიშვილის თქმით, ბაჩო ახალაიამ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმარი სცემა. თუმცა, შემდეგ ნაჩვენებ ინტერვიუში ადვოკატი, მიუხედავად იმისა, რომ უარყოფით კონტექსტში საუბრობს ახალაიაზე, ასეთ ბრალდებას მას არ უყენებს.

აღსანიშნავია 16 ივლისს გასული სიუჟეტი მაესტროს დაყადაღებულ ანტენებთან დაკავშირებით, სადაც ლაშა ტუღუშის ინტერვიუ ორჯერ არის ნაჩვენები 30 წამიანი შუალედით, მცირედი ცვლილებებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ტექნიკური შეცდომა კი არ არის, არამედ მისი უარყოფითი შინაარსის შემცველი შინაარსი განგებ არის გაშვებული ორჯერ.[7]

კავკასია

გამოიკვეთა ორი სუბიექტი, რომელსაც სხვა სუბიექტებთან შედარებით ბევრად მეტი დრო დაეთმო: მთავრობა და კოალიცია ქართული ოცნება. ზოგადი შთაბეჭდილება სიუჟეტებიდან

[7] იხ. დიაგრამა შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=NkNEYSHC9zY&feature=youtu.be

ხშირ შემთხვევაში ნეიტრალურია. თუმცა, სიუჟეტებში, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები ფიგურირებენ საერთო შთაბეჭდილება უფრო უარყოფითისკენ იხრება. სიუჟეტებს სათაურები არ აქვს. ამის გამო მათზე დაკვირვება ვერ ხერხდება. წარმოდგენილი რესპონდენტების სიუჟეტები მხრივ მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. სიუჟეტები უმეტესად გამყარებულია კადრებითა და რესპონდენტთა კომენტარებით. იშვიათად გვხვდება შეუსაბამობა ჟურნალისტის დასკვნასა და რესპონდენტის კომენტარებს შორის.

დათმობილი დროის მიხედვით მონიტორინგის მოცემულ პერიოდში კავკასიაზე გამოიკვეთა ორი სუბიექტი, რომელსაც სხვა სუბიექტებთან შედარებით ბევრად მეტი დრო დაეთმო. ესენია: მთავრობა (29%) და კოალიცია ქართული ოცნება (24%). დანარჩენ სუბიექტებს 8 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 5).

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილების მიხედვით აღსანიშნავია, რომ კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი უფრო თანაბრადაა განაწილებული (53% პირდაპირი, 47% ირიბი), ვიდრე მთავრობის შემთხვევაში, რომელსაც პირდაპირი საუბრის წილი მხოლოდ 29 პროცენტი აქვს. დანარჩენი სუბიექტების უმეტესობას პირდაპირი საუბრის არანაკლებ 50 პროცენტი აქვს. (იხ. დიაგრამა Speech 5)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ სუბიექტების ნეიტრალური ტონით გაშუქება ჭარბობს ყველა სუბიექტთან მიმართებაში. ყველა მეტი უარყოფითი ტონი დაფიქსირდა მთავრობის მიმართ - 27 პროცენტი. პრეზიდენტს აქვს უარყოფითი ტონის 17 პროცენტი, კოალიცია ქართულ ოცნებას - 8 პროცენტი. რაც შეეხება დადებით ტონს, ყველაზე მეტი დადებითი ტონი გამოვლინდა მთავრობისა (8% 54 წუთიდან) და პრეზიდენტის მიმართ (10% 11 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone 5)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება უმეტესად ნეიტრალურ სურათს ქმნის. მხოლოდ მთავრობის შემთხვევაში დაფიქსირდა უარყოფითი ტონის შედარებით დიდი წილი - 18 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J5).

ზოგადი შთაბეჭდილება კავკასიის სიუჟეტებიდან ხშირ შემთხვევაში ნეიტრალურია; თუმცა, სიუჟეტებში, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები ფიგურირებენ (პრეზიდენტი, მთავრობა, მმართველი პარტია), საერთო შთაბეჭდილება უფრო უარყოფითისკენ იხრება. მაგალითად, 13 ივლისის სიუჟეტში მაესტროს ანტენების დაყადაღებასთან დაკავშირებით წყაროთა უმეტესობა უარყოფითად საუბრობს ხელისუფლებაზე და ჟურნალისტიც იმეორებს მათ სიტყვებს.

კავკასიაზე სიუჟეტებს სათაურები არ აქვს. ამის გამო მათზე დაკვირვება ვერ ხერხდება.

კავკასიაზე სიუჟეტები წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. იმ შემთხვევებში, როცა სიუჟეტები დაბალანსებული არ არის, ძირითადად იგრძნობა ხელისუფლების კომენტარების ნაკლებობა.

სიუჟეტები უმეტესად გამყარებულია კადრებითა და რესპონდენტთა კომენტარებით. რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას შორის, საინტერესოა 5 ივლისის სიუჟეტი სოციალ-დემოკრატების წევრის განცხადებაზე ვანო მერაბიშვილის პრემიერმინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით. ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ, სოციალ-დემოკრატების აზრით, „სამთავრობო პრიორიტეტების ცვლილება ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა“ და „სოციალ-დემოკრატები მიიჩნევენ, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩამოყალიბებული რეპრესიული და ავტორიტარული რეჟიმის პირობებში მათ მიერ წარდგენილი სოციალური პოლიტიკის განხორციელება აბსურდია“. სიუჟეტში წარმოდგენილი ერთადერთი წყარო, სოციალ-დემოკრატების წევრი, რომელიც საუბრობს ვანო მერაბიშვილის პრემიერმინისტრად დანიშვნაზე და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოდგენილი პროგრამა რადიკალურად განსხვავებულია მათი წინა პროგრამებისგან.[8]

[8] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=g77XSdof-60&feature=youtu.be

3-16 ივლისის პერიოდში კავკასიაზე შეინიშნებოდა ტექნიკური შეცდომები და ხარვეზები. რესპონდენტების უმეტესობას კვლავ არ ეწერებოდა ვინაობა. 7 ივლისის სიუჟეტში ეუთოს 10-პუნქტიანი დოკუმენტის შესახებ შეცდომით გავიდა სხვა სიუჟეტების კადრები.

მეცხრე არხი

ყველაზე მეტი დრო დაეთმო მთავრობას და კოალიცია ქართულ ოცნებას. ხელისუფლების წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევებში უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული. სიუჟეტების სათაურების მხრივ მეცხრე არხზე ძირითადად ინფორმაციული ხასიათის სათაურებია. თუმცა, ზოგჯერ შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები ხელისუფლების მიმართ. რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია.

მეცხრე არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო საკმაოდ არათანაბრად განაწილდა. ყველაზე მეტი დრო დაეთმო მთავრობას - 38 პროცენტი, შემდეგ კოალიცია ქართულ ოცნებას - 22 პროცენტი. პრეზიდენტსა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 10 და 9 პროცენტი. ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო 6 პროცენტი. დანარჩენ სუბიექტებს კი 2 პროცენტი და ნაკლები. (იხ. დიაგრამა Time 6)

პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილებას რაც შეეხება, სუბიექტებიდან, რომლებსაც ამ არხზე 3-16 ივლისის პერიოდში 9 წუთზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი და ირიბი საუბრის ყველაზე თანაბარი განაწილება კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს (52% პირდაპირი და 48% ირიბი). დანარჩენი სუბიექტებიდან პრეზიდენტს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ადგილობრივ თვითმმართველობას დაახლოებით ერთნაირი პირდაპირი საუბრის წილი აქვთ - მხოლოდ 35-39 პროცენტი. რაც შეეხება მთავრობას, რომელსაც ამ არხზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო (თითქმის 1 საათი), მხოლოდ 16 პროცენტი აქვს პირდაპირი საუბარი. (იხ. დიაგრამა Speech 6)

სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ საინტერესოა, რომ იმ სუბიექტებიდან, რომლებსაც 9 წუთზე მეტი დაეთმო, მხოლოდ კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში ნეიტრალური ტონის წილი 90 პროცენტს აჭარბებს. მთავრობისა და პრეზიდენტის შემთხვევაში კი - ნეიტრალური ტონი მხოლოდ 46 და 47 პროცენტია. უარყოფიტი ტონის დიდი წილი აღინიშნა მთავრობის (51%), პრეზიდენტის (42%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (30%) და ადგილობრივი თვითმმართველობის (54%) მიმართ. (იხ. დიაგრამა Tone 6)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ზოგადი ტონის ტენდენციას იმეორებს. უარყოფითი ტონის წილი საკმაოდ დიდია ისეთი სუბიექტების მიმართ, როგორებიცაა: მთავრობა (43% 34 წუთიდან), პრეზიდენტი (42% 7 წუთიდან), ადგილობრივი თვითმმართველობა (49% დაახლოებით 5 წუთიდან) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (40% დაახლოებით 7 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone J6)

თვისებრივი მონიტორინგის დროს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებაზე დაკვირვების შედეგად მეცხრე არხზე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სიუჟეტებში მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობა და ხელისუფლების წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევებში უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული როგორც რესპონდენტების კომენტარების, ასევე საერთო კონტექსტისა და ჟურნალისტის ტექსტის შედეგად.

მაგალითად, 12 ივლისის სიუჟეტი „დაყადაღებული თეფშები: პროკურატურას მტკიცებულების გაყალბებაში ადანაშაულებენ“. სიუჟეტი უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს პროკურატურისა და შსს-ს, ასევე ხელისუფლების მიმართ. ჟურნალისტი ეჭვქვეშ აყენებს შსს-ს მიერ გადაღებულ ვიდეო მასალას, სადაც, ჟურნალისტის თქმით, არც ტვირთის მდებარეობა ჩანს და არც თარიღი. ტელეკომპანია მაესტროს გენერალური დირექტორი შსს-სა და პროკურატურას ადანაშაულებს იმაში, რომ მათ ჰქონდათ შეხება სატელიტურ თეფშებთან და შეეძლოთ, აეღოთ გლობალის წარწერიანი ყუთები და შეეცვალათ. ,, ეს შენ გეხება“-ს კამპანიის წევრი თამარ კორძაია აღნიშნულ ფაქტს აფასებს, როგორც სახელმწიფოს მხრიდან მედია ბიზნესში უხეშ ჩარევას. უარყოფითი შთაბეჭდილება რჩება ასევე მიხეილ სააკაშვილის მიმართ. სიუჟეტის ბოლოს პრეზიდენტი მაესტროს ჟურნალისტის შეკითხვას მაესტროს ანტენების დაყადაღებასთან დაკავშირებით არ პასუხობს.

იმავე 10 ივლისის სიუჟეტში ახალგორელების შესახებ უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ და, ზოგადად, ხელისუფლების მიმართ. მოხუცი რესპონდენტის გამოყენებამ დაამძიმა სიუჟეტი და უარყოფითი ფონი გაამძაფრა ხელისუფლების მიმართ, რადგან საუბრობს იმაზე, რომ სახლები ახალგორში არასწორად განაწილდა, კომპენსაცია არ მისცეს და დაპირებებს არ ასრულებენ.

მაგალითად, 11 ივლისის სიუჟეტში „კოორდინატორი დირექტორები“ ჟურნალისტი ამბობს: „ჩაქვის ოაზისიდან ბაზალეთის დასასვენებელ კომპლექსში დასვენება, ღირსების ორდენი, ფული. ეს ყველაფერი სკოლის ნაციონალ დირექტორებს.“

სიუჟეტების სათაურების მხრივ მეცხრე არხზე ძირითადად ინფორმაციული ხასიათის სათაურებია. თუმცა, ზოგჯერ შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები ხელისუფლების მიმართ. მაგალითად: 9 ივლისი - „ნეპოტიზმი ხელისუფლებაში: ძმებ ახალაიებს ძმები ქარდავები დაეხმარებიან“

რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში არ არის წარმოდგენილი მთავრობისა და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა კომენტარები.

რეალ ტვ

შვიდ არხს შორის რეალ ტვ-ზე დათმობილი დროის ყველაზე მაღალი პროცენტი დაფიქსირდა ერთი კონკრეტული სუბიექტის მიმართ - კოალიცია ქართული ოცნება. ორი ძირითადი ტენდენცია იკვეთება: დადებითი სიუჟეტები პრეზიდენტისა და მთავრობის მიმართ და მკვეთრად უარყოფითი შინაარსის სიუჟეტები კოალიცია ქართული ოცნების მიმართ. ასევე მრავლად გვხდება უაროფითი ტონის სათაურები. სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან არა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტების

უმეტესობა განპირობებულია კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობით.

რეალ ტვ ისევ ერთადერთი არხია, რომელიც ერთ კონკრეტულ სუბიექტს უთმობს სუბიექტებისთვის დათმობილი მთელი დროის 40 პროცენტზე მეტს და ეს სუბიექტი მონიტორინგის ყველა პერიოდში არის კოალიცია ქართული ოცნება. 3-16 ივლისის პერიოდში კოალიცია ქართულ ოცნებას დაეთმო დროის 43 პროცენტი. პრეზიდენტი და მთავრობა თითქმის ერთნაირი დროით გაშუქდა (21 და 20 პროცენტი). დანარჩენ სუბიექტებს კი 3 პროცენტი ან ნაკლები დრო დაეთმოთ (იხ. დიაგრამა Time 7).

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტულ განაწილებას რაც შეეხება, იმ სამი სუბიექტიდან, რომელსაც 8 წუთზე მეტი დრო დაეთმო, კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (31% 1 საათი და 43 წუთი). პრეზიდენტს აქვს პირდაპირი საუბრის 74 პროცენტი, მთავრობას კი - 42. (იხ. დიაგრამა Speech 7)

სუბიექტების გაშუქების ტონს რაც შეეხება, ძირითად სამ სუბიექტს თუ შევხედავთ, კოალიცია ქართული ოცნება დათმობილი დროის 65 პროცენტის შემთხვევაში უარყოფითი ტონითაა გაშუქებული, ხოლო მთავრობასა და პრეზიდენტს დადებითი ტონის 42 და 56 პროცენტი აქვთ. (იხ. დიაგრამა Tone 7)

სუბიექტებზე ჟურნალისტის საუბრის ტონის შეფასებისას იკვეთება, რომ კოალიცია ქართულ ოცნებას ჟურნალისტის შემთხვევაში უარყოფითი ტონის უფრო მეტი წილი აქვს - 69 პროცენტი. მთავრობა და პრეზიდენტია ის სუბიექტები, რომლებსაც დადებითი ტონის ყველაზე დიდი წილი აქვს როგორ ზოგადი ტონის, ისე ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში (მთავრობა 12%, პრეზიდენტი 32%). (იხ. დიაგრამა Tone J7)

სიუჟეტებში ზოგადი შთაბეჭდილების მიხედვით რეალ ტვ-ზე ორი ძირითადი ტენდენცია იკვეთება. ერთის მხრივ, ეს არის დადებითი სიუჟეტები პრეზიდენტისა და მთავრობის მიმართ, ხოლო, მეორეს მხრივ, მკვეთრად უარყოფითი შინაარსის სიუჟეტები კოალიცია

ქართული ოცნებისა და მისი წევრების მიმართ. ორივე შემთხვევაში ზოგად შთაბეჭდილებას ქმნის როგორც ჟურნალისტის ტექსტი, ასევე რესპონდენტების კომენტარები და ნაჩვენები კადრები.

მაგალითად, 4 ივლისის სიუჟეტში „ქლორით ინტოქსიკაცია“ ნაჩვენებია კადრები, სადაც პრეზიდენტი საავადმყოფოში ხვდება დაზარალებულებს. იგივე გამოშვების სიუჟეტში „მინისტრთა ახალი კაბინეტი“ კი, ჟურნალისტი შაშკინს მოიხსენიებს, როგორც „იდეების გენერატორს.“ ასევე 9 ივლისს გასული სიუჟეტი „პრემიერის შეხვედრა მოსახლეობასთან“ დადებითად წარმოაჩენს ვანო მერაბიშვილს. ნაჩვენებია, როგორ ეხუტება შეკრებილთაგან ერთ-ერთ მამაკაცს და ესალმება ბავშვს „ხელის ჩარტყმით“.

რაც შეეხება უარყოფითი შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტებს კოალიცია ქართული ოცნების მიმართ, ამ შემთხვევაშიც ხშირია კადრების გამოყენება შთაბეჭდილების შესაქმნელად. მაგალითად, 9 ივლისის სიუჟეტში „ოცნების ოლიგარქის ოცნება“, ივანიშვილის ფოტო ნაჩვენებია ნამგალისა და ურის ფონზე. იგივე სიუჟეტში ხშირად არის საბჭოთა დროინდელი კადრები და რესპონდენტებადაც არჩეული არიან რეპრესირებული ადამიანების შთამომავლები. 5 ივლისის სიუჟეტში „რუსული ფული ქართულ პოლიტიკაში“ კი ნაჩვენებია ივანიშვილის სურათი მოსკოვში წმინდა ვასილი ნეტარის ტაძრის ფონზე და ამ დროს ციდან ცვივა დოლარების კუპიურები.

აღსანიშნავია აგრეთვე 10 ივლისი სიუჟეტი „ოცნების მორიგი სკანდალი“, რომელიც ძალიან უარყოფითი შთაბეჭდილებით გამოირჩევა კოალიციის მიმართ როგორც ჟურნალისტის ტექსტით, ასევე კადრებით. სიუჟეტის დასაწყისში ჟურნალისტის საუბარი უარყოფითი ტონით კოალიციის შესახებ გადაბმულად გრძელდება 85 წამის განმავლობაში. 12 ივლისის სიუჟეტში „ოლიგარქის ბალანსი“ ჟურნალისტი თინა ხიდაშელს მოიხსენიებს, როგორც „შუშის სასახლის კარზე ჩატარებული კასტინგების დედოფალს“.

უარყოფით შთაბეჭდილებას სიუჟეტებში ქმნიან რესპონდენტებიც. მაგალითად, 3 ივლისის სიუჟეტში „გარემოცვა და შეშინებული ბიძინა“ ლეიბორისტული პარტიის წევრი გიორგი გუგავა ბიძინა ივანიშვილს „შუშის ჯავშანში ჩასმულსა“ და „შუშის კოლბის რაინდს“ უწოდებს.

რეალ ტვ-ზე მრავლად გვხდება უაროფითი ტონის სათაურები. ყველა მათგანი დაკავშირებული კოალიცია ქართულ ოცნებასთან. მაგალითები: 3 ივლისი - „გარემოცვა და შეშინებული ბიძინა“; 5 და 6 ივლისს პირველ სიუჟეტად გავიდა ერთი და იგივე სათაურის მქონე სიუჟეტი - „ოცნების“ ევროპული მარცხი“; 9 ივლისი - „თვითკმაყოფილი ბიძინა“, ამავე გამოშვებაში იყო სიუჟეტი სათაურით: „პლაგიატი ბიძინა“; 16 ივლისი - „ივანიშვილი - პლაგიატი თუ მატყუარა?“.

რაც შეეხება სიუჟეტების ბალანსს წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით, ამ პრეიოდში სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან არა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტების უმეტესობა განპირობებულია კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობით, როდესაც შინაარსიდან გამომდინარე მათი აზრი მნიშვნელოვანია.

რეალ ტვ-ზე აღსანიშნავია 6 ივლისის სიუჟეტი „ოცნების ევროპული მარცხი“, რომელშიც ჟურნალისტი ცრუ ინფორმაციას აწვდის მაყურებელს. ჟურნალისტის თქმით, Google-ის საძიებელ გრაფაში ბიძინა ივანიშვილის ჩაწერის შემთხვევაში, გამოჩნდება ფრაზები - „რუსული ფული“, „რუსული ოლიგარქი“, „რუსეთში ნაშოვნი კაპიტალი“. ამასთან, სიუჟეტში არ უჩვენებიათ ამის დამადასტურებელი კადრები.

დანართი - დიაგრამები

დიაგრამა Time 1



დიაგრამა Time 2



დიაგრამა Time 3



დიაგრამა Time 4



დიაგრამა Time 5



დიაგრამა Time 6



დიაგრამა Time 7



დიაგრამა Speech 1



დიაგრამა Speech 2



დიაგრამა Speech 3



დიაგრამა Speech 4



დიაგრამა Speech 5



დიაგრამა Speech 6



დიაგრამა Speech 7



დიაგრამა Tone 1



დიაგრამა Tone J1



დიაგრამა Tone 2



დიაგრამა Tone J2



დიაგრამა Tone 3



დიაგრამა Tone J3



დიაგრამა Tone 4



დიაგრამა Tone J4



დიაგრამა Tone 5



დიაგრამა Tone J5



დიაგრამა Tone 6



დიაგრამა Tone J6



დიაგრამა Tone 7



დიაგრამა Tone J7